# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 14

27 იანვარი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი მიწიქვეშა გადასასვლელის შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს „უძრავი ქონება - თბილისმა“ 2015 წლის 16 იანვარის №QN1279569 წერილით მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი მიწიქვეშა გადასასვლელის შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე“ და „ე.თ“ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22/12/2014 წლის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, დანართი 1-ით გათვალისწინებული ქ.თბილისში არსებული მიწიქვეშა გადასასვლელების შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის“ (ს/ნ 203826173) პირდაპირი განკარგვის წესით, 2024 წლის 01 იანვრამდე ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასა და დანართი 2-ით გათვალისწინებულ საიჯარო ხელშეკრულებებში მეიჯარის ყველა უფლებების, მათ შორის საიჯარო ქირის მიღების უფლება და ყველა ვალდებულებების შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის“ (ს/ნ 203826173) გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

| N | მისამართი | ხაზოვანი ნაგებობის გრძივი მეტრი | ქ. თბილისის თვითმმართველზე რეგისტრირებული შიდა ფართი | საკადასტრო კოდი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კოსტავას ქუჩა ფილარმონიის წინ | 150,05 | 580,06 | 01.15.03.010.012.01.521 | |
| 2 | თავისუფლების მოედნის კომპლექსი | 200 | 918,3 | 01.00.663 | |
| 3 | ვ. გორგასლის ქ. წინდების ფაბრიკის მიმდებარედ | 115 | 381,79 | 01.00.065 | |
| 4 | ვ. გორგასლის ქ. გამგეობასთან | 73 | 168,65 | 01.00.056 | |
| 5 | ვ. გორგასლის ქ. ბალნეოლოგიური კურორტი | 68 | 167,39 | 01.00.051 | |
| 6 | მე-8 ლეგიონი | 113 | 365,35 | 01.00.057 | |
| 7 | მე-3 მასივი N1 | 95 | 379,03 | 01.00.424 | |
| 8 | შს სამინისტროს წინ | 124 | 699,93 | 01.00.454 | |
| 9 | დ. გურამიშვილის გამზირი, კ/თ საქართველოსთან | 99 | 296,96 | 01.00.418 | |
| 10 | ორბელიანის მოედანი | 265,11 | 1842,11 | 01.18.03.011.005.01.508 | |
| 11 | მე-3 მასივი N3 | 95 | 379,03 | 01.00.417 | |
| 12 | ბუხაიძის ქუჩა რკინიგზის ქვეშ | 44 | 148,55 | 01.00.055 | |
| 13 | ტ. გრანელის ქუჩა | 32 | 96,6 | 01.00.049 | |
| 14 | კონსტიტუციის ქუჩის ბოლო, მონტინის ქუჩისკენ | 58 | 217,65 | 01.00.054 | |
| 15 | რკინიგზის სადგურის მოედანი | 273 | 1629,23 | 01.00.580 | |
| 16 | რესპუბლიკის მოედანი სასტუმრო ივერიის წინ | 85 | 292,67 | 01.00.413 | |
| 17 | გ.რობაქიძის გამზირი, მაიაკოვსკის ძეგლთან | 92 | 276,95 | 0.00.050 | |
| 18 | გ. ლეონიძის და ტაბიძის ქუჩების გადაკვეთაზე | 45 | 154,86 | 01.00.064 | |
| 19 | ი. ჭავჭავაძის გამზირისა და ატენის ქუჩის გადასასვლელი | 49 | 168,99 | 01.00.416 | |
| 20 | ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ქართველიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე | 72 | 215,04 | 01.00.422 | |
| 21 | ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ასათიანის ქუჩის გადაკვეთაზე | 68 | 167,39 | 01.00.419 | |
| 22 | დ აღმაშენებლის ხეივანი აგრარულ უნივერსიტეტთან | 122,18 | 390,2 | 01.00.411 | |
| 23 | დ აღმაშენებლის ხეივანი სასტუმრო უშბასთან | 122 | 446,55 | 01.00.492 | |
| 24 | დ აღმაშენებლის ხეივანი მუხათგვერდის გადასასვლელი | 124 | 442,81 | 01.00.459 | |
| 25 | გურამიშვილის გამზირი ქარხანა თემქას წინ | 95 | 520,94 | 01.00.415 | |
| 26 | მელაანის ქუჩა გამგეობასთან | 89 | 309,79 | 01.00.059 | |
| 27 | ვაცეკის ქუჩა (შუშის ქარხანასთან) შერვაშიძე | 92 | 362,64 | 01.00.423 | |
| 28 | რძის კომბინატთან | 96 | 388,51 | 01.00.412 | |
| 29 | მესამე მასივი N2 | 94 | 356,11 | 01.00.058 | |
| 30 | საავაძის მოედანი | 67 | 328,51 | 01.00.693 | |
| 31 | მ. კოსტავას ქ. გამომცემლობა "სამშობლოსთან" | 110 | 315,23 | 01.00.487 | |
| 32 | კოსტავას ქუჩა საჭაშნიკესთან | 58 | 184,5 | 01.00.421 | |

| N | მისამართი | ხაზოვანი ნაგებობის გრძივი მეტრი | ქ. თბილისის თვითმმართველზე რეგისტრირებული შიდა ფართი | საკადასტრო კოდი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 33 | ნ. ბარათაშვილის ხიდის გადასასვლელი | 613 | 1037,32 | 01.00.053 | |
| 34 | მეტრო სამგორთან | 82 | 158,32 | 01.00.608 | |
| 35 | ორხევის გადასასვლელთან | 94 | 384,53 | 01.00.420 | |
| 36 | გ. შავთელის ქ. ანჩისხატის წინ სანაპირო | 42,18 | 223,7 | 01.00.691 | |
| 37 | ქუჩა ქ.წამებულის, მეტრო "ავლაბარი"-ს წინ | 50 | 239,7 კვმ შიდა ფართიდან 183,38 კვმ | 01.00.457 | |
| 38 | ი. ჭავჭავაძის გამზირი, ტაბიძის ძეგლთან | 134 | 520,71 კვმ ფართიდან 438,48 კვმ | 01.00.103 | |
| 39 | კოსტავას ქუჩა, ტელევიზიასთან | 71 | 289,69 კვმ შიდა ფართიდან 206,32 კვმ | 01.00.456 | |
| 40 | თამარ მეფის გამზირისა და წინამძღვრიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე | 223 | 572,25 კვმ შიდა ფართიდან 196,35 კვმ | 01.00.500 | |
| 41 | რუსთაველის გამზირი N37 | 73 | 317,03 კვმ შიდა ფართიდან 93,83 კვმ | 01.00.503 | |

დანართი 2

| კონტრაქტორი | ხელშეკრულების_ნომერი სარგებლობისფორმა | ვადა | ობიექტის მისამართი საკადასტრო კოდი ფართობი | წლიური ქირა | გადახდილი თანხები 2013 | | გადახდილი თანხები 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ქირა | პირგასამტეხლო | ქირა | პირგასამტეხლო |
| შპს "ზაგი" , სკ: 204402208 , ს. ჩიქოვანის 37, ბ 6 | 14.07.2011 2011-07-14 იჯარა | 2011-07-14 - 2021-07-14 | ორბელიანის მოედანი , 01.18.03.011.005.01.508; კვ.მ:1842.11,დ. გურამიშვილის გამზირი ჰ/თ საქართველოსთან , 01.00.418; კვ.მ:296.96,მესამე მასივი #3 , 01.00.417; კვ.მ:379.06 | 42500 | 42500 | 21,25 | 42500 | |
| შპს "TCS" , სკ: 401953374 , ქ. თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი | 01-7/15 2011-08-24 იჯარა | 2011-08-24 - 2021-08-24 | ქ. თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი , 01.00.580; კვ.მ:1629.23,რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი , 01.00.580; კვ.მ:292.42,ტერენტი გრანელის ქუჩა, ხაზოვანი ნაგებობა გრძივი მეტრი - 32 , 01.00.49; კვ.მ:96.60,კონსტიტუციის ქუჩის მოლოს; ხაზოვანი ნაგებობა გრძივი მეტრი 58; , 01.00.54; კვ.მ:217.65,მუხაიძის ქუჩა , 01.00.55; კვ.მ:148.55 | 36000 | 36000 | 144 | 36000 | |
| i/m vagifi mamedovi , სკ: 304414079 , კეკელიძის ქ N16 სხვენი | 01-7/16 2011-09-01 იჯარა | 2011-09-01 - 2021-09-01 | ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. წინდების ფაბრიკის მიმდ. ხაზოვანი ნაგებობა გრძივი მეტრი 115; , 01.00.65; კვ.მ:381.79,თავისუფლების მოედნის კომპლექსი, ხაზოვანი ნაგებობა, , 01.00.663; კვ.მ:135.88,შს სამინისტროს წინ , 01.00.454; კვ.მ:124.00,გორგასლის ქუჩაზე გამგეობის მიმდებარედ , 01.00.56; კვ.მ:168.65,მესამე მასივი, #1, ხაზოვანი ნაგებობა #გრძივი მეტრი 95 , 01.00.424; კვ.მ:379.03,მე-8 ლეგიონის დასახლების მიმდებარედ, ხაზობრივი ნაგებობა გრძივი მეტრი 113 , 01.00.57; კვ.მ:365.35,გორგასლის ქუჩაზე მალნეოლოგიურის მიმდებარედ, გრძივი მეტრი 68 , 01.00.51; კვ.მ:167.30 | 50000 | 50000 | | 50000 | 6050 |

| კონტრაქტორი | ხელშეკრულებ ის_ნომერი სარგებლობისფ ორმა | ვადა | ობიექტის მისამართი საკადასტრო კოდი ფართობი | წლიური ქირა | გადახდილი თანხები 2013 | | გადახდილი თანხები 2014 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ქირა | პირგასამტეხლო | ქირა | პირგასამტეხლო |
| შპს "TCS" , სკ: 401953374 , ქ. თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი | ქ614978 2011-11-22 იჯარა | 2011-11-22 - 2021-11-22 | ქ. თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინ მიწისქვეშა მოედანზე , 01.00.580; კვ.მ:224.40 | 17000 | 17000 | | 17000 | |
| ფრიდონი ჩიგუნაძე , პნ: 01024026804 , ვაშლიჯვარი 2ა ზონა, კ 3ბ, ბინა 32 | ე-164-20-6497 2013-01-09 იჯარა | 2013-01-09 - 2023-01-09 | ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მაიაკოვსკის ძეგლთან , 01.00.050; კვ.მ:46.67,ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ.ქარხანა "თემქის" წინ,გრძივი მეტრი-95 , 01.00.415; კვ.მ:520.94,ქ. თბილისი, რესპუბლიკის მოედანი სასტუმრო რედისონ-ივერიას წინ, გრძივი მეტრი 85 , 01.00.413; კვ.მ:292.76 | 6000 | 3000 | 432 | 6000 | 402 |
| მალხაზ ჩიხლაძე , პნ: 60002000145 , ქ. თბილისი, ნ.სულხანიშვილის N13 | ქ61109824 2013-03-13 იჯარა | 2013-03-13 - 2022-03-13 | ქეთევან წამებულის ქუჩაზე მეტრო "ავლაბრის" წინ მიწისქვეშა გადასასვლელში არსებული 239, 7 კვ.მ ფართიდან 27, 15 კვ.მ , 01.00.457; კვ.მ:27.15 | 4500 | 2250 | | 2625 | |
| ფრიდონი ჩიგუნაძე , პნ: 01024026804 , ვაშლიჯვარი 2ა ზონა, კ 3ბ, ბინა 32 | ქ61197380 2014-03-17 იჯარა | 2014-03-17 - 2023-03-17 | ქ.თბილისი, რესპუბლიკის მოედანზე სასტუმრო "რედისონ-ივერიას" წინ მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე 292,76 კვმ. ფართიდან 102,70 კვმ. ფართი , 01.00.413; კვ.მ:102.70 | 13500 | | | 6750 | 13,5 |
| სულ | | | | 169500 | 150750 | 597,25 | 160875 | 6465,5 |